

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს რუბლად

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. ВЪ редакціи газ. „Дროება“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს [და] სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უზღუბა აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1878 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

გამოდის იმავე პროგრამითა და მიმართულებით, როგორც დღემდე გამოდებოდა სოლომ.

ხელის-მოწერა

თ ფ ი ლ ი ს შ ი — „მიიღება დროების“ რედაქციაში (სერგიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში).

ბარეზე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Типографіи. ВЪ Редакціи „Дროება“.

ფასი გაზეთისა

მთელის წლისა	8 მან.	„ კაპ.
შესის თვისა	4 „	50 „
ოთხის თვისა	3 „	„

უპოვებელი თხოვნა ხელის-მოწველებსა და აგენტებს: **ხელის უფლი** გაზეთისა იმის დაბარების-თანავე უნდა იმხმას **გამომგზავნილი**; თუ არ აგენტების საშუალებით, ისე რედაქცია უფულოთ გაზეთს არავის არ გაუგზავნის.

საქართველო

ინგლისის მოწოდებებზე კონგრესში

მიიღებს ინგლისი ბერლინის კონგრესში მონაწილეობას, თუ არა?

ამაზე ლაპარაკობს ამ ჟამად მთელი ქვეყანა, ამიტომ რომ ამაზედ არის დამოკიდებული ხელ-ახლად ომის ატება, ანუ საბოლოოთ მშვიდობიანობის ჩამოგდება.

ზოგი ამბობს—მიიღებსო; რუსეთი დაუთმობს იმას ყველას, რასაც სთხოვს, წარუდგენს კონგრესს მთელ თავის მორიგების პირობას ოსმალეთთან შეკრულსო, ამ სახით დააკმაყოფილებს და გააგზავნინებს კონგრესსზედ თავის წარმომადგენელსო.

სხვები კი ამტკიცებენ, რომ რუსეთი თავის დღეში არ იკარგებო, იმდენათ დამცირდოს თავი, რომ ესეთი ამაყური მოთხოვნა ინგლისისა შეასრულოსო; რალა მნიშვნელობა ექნება მაშინ იმ მორიგების პირობას, რომელიც ასე დიდებულად შეჰკრეს 19 თებერვალს სან-სტეფანოში, თუ კი ის ხელ-ახლად გადასახედავი, შესაცვლელი და დასამტკიცებელი შეიქნება სხვა სახელმწიფოებისგანაო? ისევე არა სჯობდა, რომ პირ-და-პირ ამ სხვა სახელმწიფოებისთვის მიენდოთ ბარე რუსეთსა და ოსმალეთს იმათი მორიგების პირობა დაეწერათ? არა, რუსეთი არ დაუთმობს, და მაშასადამე ინგლისიც ამ კონგრესში მონაწილეობას არ მიიღებსო!

ზაღაწყვეტით თქმა—თუ ამ ორს მოსაზრებაში რომელი არის ნამდვილი და რომელი შემცდარი, რასაკვირვლია, ახლა ძნელად შეიძლება. მითითებულ მხარეს თავის ჰაზრის დასამტკიცებელად თითქმის ერთნაირი ძალისა და ღონის საშუალები შეუძლიანთ მოიყვანონ. ერთს შეუძლიან სთქვას, რომ რუსეთი დაღალულია, ფინანსის მხრით შევიწროებულ მდგომარეობაში ჩავარდა და ამიტომ ძალა-უნებურად უნდა დაუთმოს ინგლისსაო; მეორე ამგვარივე საფუძვლით იტყვის, რომ რაც უნდა დაღალული იყოს რუსეთი, იმდენ ჯარს კიდევ გამოიყვანს ბრძოლის ველზე, რომ ინგლისის შებამ არ შეაშინოსო, და სს.

მაგრამ ამაზედ ჩვენ შემდეგში ვილაპარაკებთ; ახლა მხოლოდ იმაზე გვინდა ორ-ორადე სიტყვა ვთქვათ—თუ რა გამოეიქიდა, რომ ინგლისმა კონგრესში მონაწილეობა არ მიიღოს?

ამის პასუხი უბრალო და ცხადია; თუ კონგრესის უ-ინგლისოთ შესდგა, მაშინ ინგლისი ყოველ იმის გადაწყვეტილებას კანონიერად და თავისთვის ვალდებულად არ ჩათვლის, და ამ კონგრესისაგან დამტკიცებულ რუსეთსა და ოსმალეთს შუა მორიგების შემდეგაც ისე მოიქცევა, თითქო ეს მორიგება იმისთვის სრულიადაც არ არსებდეს. მაშინ ინგლისი ან ახლავე გამოუცხადებს რუსეთს ომს და ანუ შემდეგ, როცა ენებება; მიზეზის ძებმა აღარ დასჭირდება.

თუ მეროპის კონგრესი უ-ინგლისოთ არ შეიკრიბა და რუსეთმა მოინდომა

უ-მეროპოთ სისრულეში მოყვანა ოსმალეთთან შეკრულ მორიგების პირობებისა, მაშინაც ინგლისს და აგრეთვე სხვა სახელმწიფოებს, რომელიც გადაწყვეტენ, რომ ეს პირობა კერძოთ იმათ ინტერესს ენებას აძლევს, სრული უფლება ექნებათ, რუსეთს ომი გამოუცხადონ.

აი, ამ მდგომარეობაში არის ახლა ინგლისის მონაწილეობის მიღება საქმე ბერლინის კონგრესში.

შეიძლება რუსეთმა დაუთმოს ინგლისს და ამათაც გადაწყვიტოს კონგრესსზედ მონაწილეობის მიღება.

მაგრამ ეს კიდევ იმას როდი ნიშნავს, რომ რუსეთი და ინგლისი მოთავდნენ და საქმე უეჭველად მშვიდობიანად გადავდება. სულაც არა; რალა თქმა უნდა, რომ ორი მოწინააღმდეგე ინტერესები, ორი მოწინააღმდეგე სახელმწიფოები შეეცაკებინ ერთმანეთს კონგრესზე—ერთის მხრით რუსეთი და მეორეს მხრით კი ინგლისი და ავტრო-ვენგრია. ორივე მოინდომებს, რომ თავისი გაიტანოს; მაშინ მეროპის სახელმწიფოების ხმის უმრავლესობაზედ იქნება დამოკიდებული—თუ რომლის მხრით გადაწყვეტს.

მაგრამ აქაც შესაძლებელია, რომ ინგლისი არ დათანხმდეს მეროპის დანარჩენი სახელმწიფოების გადაწყვეტილებასზედ, მიატოვოს კონგრესი და მაინც კიდევ ომი გამოუცხადოს თავის მოწინააღმდეგე რუსეთს.

ერთის სიტყვით საქმე ამ მდგომარეობაშია: ან რუსეთმა კარგა ბლომათ უნდა შეუფსუსუშუქოს ოსმალეთს ის მორიგების პირობები, რომელიც ამ 19 თებერვალს შეკრა სან-სტეფანოში და რომელიც შემდეგ ამავე 9 მარტს პეტერბურგში საბოლოოთ მიიღო, და ანუ ინგლისთან, იქნება ავტრო-ვენგრიასთანაც, ბრძოლისათვის უნდა მოემზადოს...

დღიური

* * ჩვენ მივლეთ ბუროიდან შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდათ: * * * ჩვენს პატარა ოსტრეტში ერთი სასიამოვნო საქმე მოხდა ამ დღეებში და ეს თითქმის ზირველი მაგალითია ბუროის მცხოვრებლებისათვის: * * * ამ მარტის ხუთს დაარსდა აქ სასოფლო შემნახველ-გამსესხელები ბანკი რომელსაც მისმა ყოველად-უსამღველო, ებამ იპერეთის ეპისკოპოსმა შესწირა

ათას ორასი მანეთი და საჭარო დავთრები.

„პირველ კრებაზე დაესწრო მარტო ბახვის და ღვებულის საზოგადოება, რომელთაც შემოიკრანეს 210 მანეთი. სამი საზოგადოება: შემოქმედის, ლეხაურის და ბურჯანის, დაესწრება იმ მეორე საზოგადო კრებაზე, რომელიც დანიშნულია აქ მარტის 12-ისათვის და იმედია ამათგანაც შესდგება ასამდინ მწვერი.

„ბანკი იქმნება განსნილი ოზურგეთში, რადგანაც საშუალო ადგილია.“

* * * თვილისის გაჯანმთელებისა და გასუფთავებისათვის დანიშნული კომიტეტები ენერგიულად მუშაობენ და მხნეთ ასრულებენ თავის საქმეს: ამ კომიტეტის წევრები მუდამ დღე დაიარსებინა ქალაქში, თითქმის ყოველ ენოში შედიან და განკარგულებას ახდენენ, რომ ყველგან სისუფთავე იყოს; იქმინდებიან აგრეთვე ქალაქის ქუჩები, მედნები მტკვრის ნაპირები და სხვ.

მართის სიტყვით, თუ ასე მარჯვედ წაიყვანეს საქმე, ამ ორი-სამი თვის განმავლობაში ჩვენი თვილის კეთილგანწყობილ, მკროპიულ ქალაქს დაემსგავსება სისუფთავეთ და ამათ რაღა თქმა უნდა, მცხოვრებლები აიცილებენ თავიდან სხვა-და-სხვა ავთამყოფობასა და სენს, რომლის წვევააც ამ ზაფხულში მოელოიან.

მაგრამ დიდ ხანს ვასძლებს ამ გვარი ზრუნვა ქალაქის სისუფთავესათვის? ქალაქის მცხოვრებლები მხოლოდ მაშინ იარქნობენ ამ სისუფთავეს ნამდვილ ნაყოფს, როდესაც ერთი და ორი წლით კი არ იქნება ეს სისუფთავე, არამედ მუდამ, ყოველთვის..

* * * ბაზეთი „ძავეჯანი“ გვაცნობებს, რომ თვილისის ახალ ღუბერნატორს წინადადება შეუტანია უმაღლესს მთავრობასთან დასამტკიცებლად, რომ ქალაქის პოლიციის წესდებულება შეიცვალოს. ამ ახალი წესდებულების ძალით, მთელი ქალაქი 10 უბნათ (უჩასტკად) იქნება გაყოფილი, 6 პოლიციის უბანი იქნება თვითონ ქალაქში და 4 მტკვრის მარცხენა ნაპირზედ (ძუკია, ჩუღურეთი, ჰაგლბარდი და სხვ.). მათათჳს უბანში დანიშნული იქნება ცალკე პრისტავი თავის კანცელარიათ; უცროსი პოლიციემისტრის თანამდებობა გაუქმებული იქნება, ამათ ნაცვლად დანიშნება ორი თანამემწე მთავარ პოლიციემისტრისა და სხვ.

* * * სპარსეთის შაჰი, როგორც ისმის, ამ მარტის 20-ს გამოვა თეპირანიდამ და მომავალი აპრილის უკანასკნელ რიცხვებში თვილისზე გამოივლის, სადაც სამი დღის განმავლობაში დარჩება.

* * * ამბობენ, რომ თვილისის ოლქის სასამართლოს პროკურორს უფ. ხლადოვსკის პროტესტი შეუტანია სენატულს სასამართლოში ნიკო ჩქოტუას გამართლების თაობაზედ.

ამბობენ აგრეთვე, რომ ერთი ბრალდებულთაგანი ნინო ანდრეევსკის ქალის

მოკვლას საქმეში, სახელდობრ ზურაბ ჭირიძე, რაქელაც ამ საქმის განხილვის დროს, ავთამყოფობის გამო, არ დასწრებია, უკვე მოკვდრა.

* * * ბაზეთებში იწერებიან, რომ ლენერალ-ადიუტანტი ლორის-მელიქოვი ამ თვის 15 დღით გამოსულია პრზრუმიდამ და მეორე დღეს, საღამოს, შირაში მოსულია, საიდანაც პირ-და-პირ თვლისში მოდრა.

„დროების“ კორრესპონდენცია

ოზურგეთში, 14 მარტს. მოგვიყანთ ერთს მაგალითს იმის დასამტკიცებლად თუ როგორ ვრცელდება ჩვენში ეს ჩვენი დამღუბელი საქანლის ჭირი; ყველაზე უფრო სამწუხარო ამ შემთხვევაში ის არის, რომ ამ პირუტყვის ჭირის გავრცელებაში ხშირად ისეთ პირებს ედებათ ბრალი, რომელნიც თვითონ არიან ვალდებულნი, რომ ხალხი დაარიგონ და ასრულებან გამოცემული დარიგებანი:

ამ წლის წასულ იანვრის 20-ს მე დავესწარი ოზურგეთში, როდესაც უეხდის პოლიციის პრისტავმა უ. იკლიანე გამულაიშვილმა გამოიძია ჯუმათურის მღვდლის ს. დ—ის საქმე, რომლის შემწეობითაც გავრცელებულია საქანლის ჭირი ჯუმათის და ჩოჩხათის საზოგადოებაში.

პირველად იყო გაჩენილი ჭირი ოზურგეთში. იმ დროს სხენებულ მღვდელს უზიდავს ქალაქში ურპით ბალახი გასასყიდლოთ, აქედან გადასდებია ჭირი იმის ხარებს, რომლებიც წაუყვანია თავის სოფელში ჯუმათში და გაუშვია საზოგადო საბალახოზედ, სადაც იმ ჭირიანი ხარების მიზეზით გაჩენილა ჭირი და უნახავს მთელს საზოგადოებას დიდი ზარალი.

მთქმაც იყო პოლიციისაგან გამოცხადებული, რომ ჭირით დაზოცილი საქანელი მიწაში უნდა დაემარხათ, მაგრამ მ. ს. დ—ის არავეითარი ზომა არ უხმარია, რომ მოერიდებინა თავის ჭირიანი ხარები სხვა მთელებიდან: ტყავამძვრალი ხარები, დამარხვის ნაცვლად, ზოგი მდინარე სუფსაში ჩაეყარა და ზოგი მინდორზე დაეყარა. წყალში ჩაყრილი საქანლები მდ. სუფსას წაეღო და ჩოჩხათის საზოგადოებაში გაეგდო: იქაც გაჩნდა საშინელი ჭირი და ძლიერ დაზარალიანდა უმისოთაც წელში გაღვიწილი ხალხი.

ამ გარემოების გამგებმა აცნობა პოლიციას. პოლიციამ დანიშნა გამოძიება და აღმოჩნდა, რომ მ. ს. დ—ის მიუცია ორი შემოსხენებული საზოგადოებისათვის დიდი ზარალი, რომლის მიზეზით ის მღვდელი იქმნა მომრიგებელის მოსამართლისაგან დასჯილი სუთმეტი დღის ნაობახითა; მაგრამ, როგორც ვაგიგე, ამ სავანზედ საჩივარი ოკრუჟნის სულში გადააქვსო. ჩემის ფიქრით, ურიგო არ იქნება, რომ იმ მღვდელს მოკვლების ნაცვლად, 15 დღე ერთ თვეთ

მინც შეუსრულონ; მით უფრო კარგი იქნება ეს, რომ ყველგან სხენებში და ჭირის დროს ლიდერ სოფრთხილეს იხმარებენ.

ბურული

ზაქათალიდგან, 8 მარტს. ამ დღეებში იყო აქ ჩვენი მაზრის სასწავლებელის დასახედავად უფ. სტრელცკი. შიხელი გამოკვლევის შემდეგ, ბერი ურიგობა და თავისებური რიგიანობა აღმოჩნდა ამ სასწავლებელში.

მაგრამ რაც იყო, იყო; შემდეგში თუ ისე კარგათ წავიდა საქმე, რა რიგადაც რევიზორის შემდეგ დაიწყეს, რასაკარგელოა, უკეთესი აღარ გვინდა.

ამბობენ, თვითონ ზედამხედველი ისეთი ურიგო კაცი არ არასო; მაგრამ ცოლს ქმარზედ ძალიან დიდი გავლენა აქვსო. როცა ქმარს უნდა რაზე კარგი განკარგულება მოახდინოსო, ცოლი, ამბობენ, მასთან ჩხუბობსო, მაგათ (შაკირდებს) რათ უნდათო კარგი ცხოვრებაო, როცა სახლში ამაზედ ცუდათ სცხოვრებნო!

წელს აქაურმა კორრესპონდენტებმა ბევრი შეაფუცებენეს, ყველას ეშინიან ახლა: ვაი თუ ჩემი ცული მოქმედება ხვალვე გაზეთებში გამოჩნდესო! მსევე გარემოება დიდს იმედს გვამოცეს, რომ ამ შემოსხენებულ სასწავლებელშიც ბოროტებას ისეთი ადგილი აღარ ექნება, როგორც იყო აქამომდე. ძალია ემაწვილები დადიან სუფთათ ჩაცმულ-დახურულნი; ამბობენ, სასმელ-საჭკელიც ძალიან კარგი და ბლომათ ეძლევათო. ღმერთმან ინებოს, რომ ეს მართალი იყოს და კიდევ ამ გვარი მდგომარეობა დღეგრძელი იყოს; ეგება მაშინ ჩვენ შეგვეძლოს მისთვის მხიარული სახით შეგედვა და სასწავლებელზედაც ცუდის თქმის ადგილი მოისპოს გაზეთებში. ძალიან სცდებიან ის პირები, რომელთაც ჰაურთ გაზეთებში იმათზე წერის მოსპობა. ამათთვის მავნებელი გარემოების წამალი მარტო ერთია: წაიყვანონ თავთავე ანთი საქმე რიგიანათ, მანახოთ მაშინ—ეინ გაბედავს მათზედ ცუდის, არამც თუ დაწერას, და ლაპარაკსაც კი...

ზაქათალი

ოპის აზებები

ოპის უმადვ

რუსული გაზეთის „ახალი დროების“ უკანისკნელ ნომერში დაბეჭდილია ყურადღების ღირსი სტატია იმ მომავალ ომზედ, რომელიც შეიძლება ატყდეს რუსეთსა და ინგლისს შუა; მოგვყავს ამ სტატიადამ უფრო შესანიშნავი ადგილები:

„ჩვენს მხენ არმიას არ შეუძლია დიდ ბრიტანიის კუნძულებს მიაღდეს; ჩვენ თითქმის სრულებით არა გვყავს სახენდრო ხომალდები და ინგლისის ფლოტი კი პირველია, უძლიერესია დედა-მიწაზე. მაშა სადამე ჩვენ იძულებული ვიქნებით

საქართველოს საზოგადოებისათვის... (Small text at the bottom of the page)



ჩვენს ქვეყანაში დავიწყვით თავი, როდესაც ინგლისის ჯარები მოგვადგებიან. ეს ამ გვარი თავის-დამცველი ბრძოლა დამლუბველი იქნება რუსეთისათვის; რუსეთს განუსაზღვრელი ნაპირები აქვს ზღვებზე; ყველა ამ ნაპირების დაცვა ჩვენ არ შეგვიძლია, ციხეები არა გვაქვს ყველგან და ვერც საკმაოდ ჯარს დავაყენებთ; მაშა სადამე ინგლისს შეუძლია ხან აქ, ხან იქ, საცა ჰსურს, საცა უფრო მონებრებულად დინახავს, მოადგეს ჩვენ ნაპირებს, ან ზღვიდამ ააოხროს ჩვენი ქალაქები და ჯარები გამოიყვანოს ამ ნაპირებზე და ისე აიკლოს იქ-ურბა; ინგლისს შეუძლია სრულიად შეგვიკრას ჩვენ ზღვის-გზა, მოგვისპოს ვაჭრობა, და თუ ეს ომი ორსამ წელიწადს განაგრძობ, რალა თქმა უნდა, რომ რუსეთი გაკოტრდება, დაიღუპება...“

„მართის სიტყვით, ამ მხრით ინგლისს ჩვენ ვერაფერს ვერ დავაკლებთ, იმას კი ჩვენი დაღუპვა შეუძლიან...“

„მაგრამ ინგლისსაც აქვს თავის სუსტი მხარე. ეს სუსტი მხარე არის ინდოეთი, რომელიც იმის სიმდიდრის წყაროს შეადგენს... რუსეთს შეუძლია 100,000 კაცი მთელი ინდოეთის სამშობლებლო დაიპყრას ინგლისისა, რადგან ერთის მხრით იმას იქ საკმაოდ ჯარები არა ჰყავს და მეორეს მხრით თვითონ ინდოეთის ხალხი უკმაყოფილოა თავის პატრონის. ინდოეთის დაპყრობით ინგლისს მოაკლდება ერთი უმთავრესთაგანი წყარო თავის სიმდიდრისა; ეს სიმდიდრე ჩვენ ჩავივარდება ხელში, ამით გავიხსნებოდა ჩვენს ვალს, ამოვიღებთ ჩვენს ომის ხარჯსა და სხვ.“

„მხოლოდ ამ საშუალებით შევიძლებთ ჩვენ ინგლისთან ბრძოლას და ინგლისის დამარცხება მხოლოდ იქ, ინდოეთში შეგვიძლია...“

შველა ეს მოსაზრება, უეჭველია, ჭკუაზედ ახლოს არის; მაგრამ ამის მთქმელს ერთი რამ ავიწყდება: ინდოეთში რომ ჯარები გაგზავნოს რუსეთში, თვითონ რუსეთს რალა უყოს მერე? მვეყანას დაცვა არ უნდა მტრისაგან?

ინგლისის ყველა გაზეთები ერთხმად აცხადებენ ახლა, რომ რუსეთში უნდა წარუდგინოს უეჭველად კონგრესს მორიგების პირობა და ამ კონგრესს მიეცეს უფლება ხსენებული პირობის გასინჯვისა, გამოცვლისა და დამტკიცებისა. ამგვარ ჰაზრებს აცხადებენ ახლა ის გაზეთებიც, რომელნიც აღრე რუსეთის მობრე გაზეთებად ითვლებოდნენ. შველა გაზეთები, რომელნიც ინგლისის ახლანდელი სამინისტროს მოწინააღმდეგენი იყვნენ, ახლა აქებენ იმას, იმის მხარე უჭირავთ და აქებებენ, რომ მაგრათ იმოქმედოს რუსეთის წინააღმდეგ.

რუსეთსა და მსმალეთს შუა შეკრულს მორიგების პირობებზე რუსეთის თანამგრძობობი ინგლისური გაზეთი „დროება“ ამბობს:

„რამდენათაც ჩვენ შევიტყუეთ, არც-

ერთ მკროპის სახელმწიფოს არ მოეწონა ეს მორიგების პირობები; ყველა ამბობენ, რომ რუსეთს ერთობ ბევრი მოუნდომებია და დამარცხებული მსმალეთი ძალა-უნებურად დათანხმებია იმას ამისთანა პირობებზე.

„მაგრამ ნუთუ რუსეთს ჰგონია, მკროპის სახელმწიფოები ნებას მისცემენ იმას და მსმალეთს მარტოდ ერთმანეთის თანხმობითადაკეთონ სამხრეთ-აღმოსავლეთს კარტა მკროპისა? ნუთუ რუსეთში არ იცის, რომ იმისაგან შეკრული პირობები მარტო იმასა და მსმალეთს კი არა, მთელს მკროპას შეეხება?..“

ნარევი

შთუთ ბევრმა ჩვენმა მკითხველებმა არ იცის — თუ რა მელნით აწერენ ხელს სულთანები შერიგების პირობებს: სან-სტეფანოს შერიგების პირობა ხოტქისაგან იქროს მელნით არის ხელ-მოწერილი. სულთანი თავის სახელს კი არ აწერს, რადგან ამას კანონი ნებას არ აძლევს, ის აწერა მარტო, რომ თანახმა და ამა-და-ამა მუხლს პირობებისა ასრულებს. ეს სტრატეგები შემოწმებულია სულთანის ბეჭდით.

* *

ამას-წინეთ იუა გამაცხადებული ჩვენს აზრით, რომ შერჩევი, მობარეს 4 ხარაზანი და ამის ქუბდებიც იპოვნესო.

ამ დღეებში გაარჩიეს ეს საქმე მდებს სამხედრო ოლქის სასამართლოში და გაღწევიტეს ერთს ბრალდებულს, რომელიც აქებდა ამ ხარაზანების მობარეზე, ერთი წელიწადი და 6 თვე არესტანტის რატიში და მეორეს, რომელიც სამხედრო სამსახურში ითვლებოდა, გამორიცხვა ამ სამსახურად და 3 წელიწადი და 6 თვე არესტანტის რატიში.

* *

ამერიკის ქალაქად ნიუ-იორკად იწერებოდა, რომ ბიერის რეინის გზა, რომლის რელსები მალე ბოძებზე გაყვანილია ქუჩებში, თანდა-თან ვრცელდება ამერიკაში.

ბოძები, რომელზედაც რელსება გაყვანილი სახლების პარველ მტაჟზე უფრო მადლებია. ეს ჰაერის რეინის გზა მალე მკულ ქალაქში იქნება გაყვანილი; ეხლა ოც-და-მეოთხე ქუჩაზე აკეთებენ ამ გზასო.

* *

ამ ცოტა ხანში ამერიკის შეერთებულ შტატებში დასწვევ ერთი მიცვალებული ქალის გვამი რომელმანც სიკვდილის წინათ გამოაცხადა სურვილი, რომ იმის გვიმი დასწვან. იმის სურვილი ასრულეს: ქმარმა გვამი წააღებინა შაშინგტონში და იქ დასწვევამ უფში, რომელიც ამ შემთხვევისთვის არის გამართული. დამწვარ გვამისაგან გამოვიდა ოახი გირანქა და ორი მისხალი ნაკარი, რომელიც ქმარმა ჩაპარა შუშაში და თან წაიღო სასოგრად.

* *

იმერეთში შემდგ ლექსს იმღე რინ, ახლა რადგან მოღაშია შემოღებულია:

ისევ შენ და ისევ შენ,
ჩემო ტურა, ლამაზო,
შველა შენ გენაცვალოს,
მოციმიმე აღმაზო!

მიყვარხარ და მიყვარდა,
სულთქმა'დნ მიყვარებდი,
მსურდა შენის ხელეფი,
დამხუტოდა თვალები!

თუმცა მე შენმა გულმა
ახლოს არ მომიკარა
და შენ, ჩემო ლამაზო,
არც მითხარ „ჰო“, არც „არა“; —

ზინდა ჯვარს დაც მაცვან,
მე სხვას ვერ შევიყვარებ!
შენ კი გძულვარ, მაგრამა
მე შენ თავს განაცვალებ!

განცხადებანი

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის რჩევა, ამ წლის 22 თებერვალს დადგენილის გარდაწყვეტილები თანახმად, საყუველთაოდ აცხადებს:

1) რომ ამ წლის 1 მაისიდგან დაიწყება სიის შედგენა აღმორჩეველებისა და ყველა ის პირნი და ავრეთვე სახაზინო და სხვა დაწესებანი, რომელთაც ამ დროისთვის სრულიად შეტანილი არ ექნებათ ქალაქის ხარჯი, არ ჩაირიცხებიან აღმორჩევით სიაში.

2) ის პირნი, რომელთაც უძრავი ქონება არა აქვთ ქალაქში და რომელთაც საეაჭრო დოკუმენტების ძალით აქვთ უფლება ხმოვანების ამორჩევისა, ვალდე'უღნი არიან 1 მაისამდინ წარმოადგინონ უძრავი მოწმობა იმის თაობაზედ, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში იმათ თფილისში უცხო-ერიათ. ეს მოწმობა შემოხსენებულ პირებმა ან თავიანთ წოდების უსტაბაშებისაგან, ან პოლიციიდგან და ანუ იმ სახლის პატრონთაგან, რომელთ სახლებშიაც იაინი იდგნენ ანუ ახლა დგანან, ხელ-მოწერილი უნდა წარმოადგინონ. ამ უკანასკნელს შემთხვევაში სახლის-პატრონის ხელის-მოწერა ნოტარიუსისაგან უნდა იყოს შემოწმებული. ის პირნი, რომელნიც აღნიშნულ ვადამდინ ამ გვარ მოწმობას ვერ წარმოადგენენ, არ იქნებიან ჩარიცხულნი აღმორჩევით სიაში.

3) ის პირნი, რომელთაც მონაწილეობა აქვთ ან გაუყოფელ მემკვიდრეობითს მამულში, ანუ ნაყიდ მამულში, ან სხვა რომელიმე შემთხვევით, და რომელნიც დოკუმენტალურ წიგნში არ შერიცხულან, ვალდებულნი არიან 1 მაისამდინ გამოუცხადონ და აცნობონ უკრავას თავის წილი საზოგადო მამულისა. შინც ხსენებულ ვადამდინ ამ წესს არ შეასრულებს, ის აღმორჩევით სიაში ჩარიცხული არ იქნება; და

4) აღმორჩეველთ ვეტილები და მცი-რე-წლოვან ამომრჩეველების ავეკუნები (მზრუნველნი) ვალდებულნი არიან ამორჩევის დაწყებამდინ ერთის კვირით წინათ, წარუდგინონ ქალაქის თავს: პირველთა (ე. ი. ვეტილებმა) ვეტილობის წე-

რილი ჯეროვანს ღერბის ქალღმერთს დაწერილი (ცირკულიარი შინაგანი საქმეების სამინისტროსი, 29 ნოემბრიდან 1876 წ., № 10766) და ნოტარიუსისაგან დამტკიცებული, თუ უპირავე მარწმუნებლის ხელს არ იცნობს; ხოლო უკანასკნელმა (ე. ი. მცირე-წლოვანის ამომრჩევლების აპეკუნებმა) უნდა წარადგინონ უპირავეში ბრძანება აპეკისუწყებისა იმის თაობაზედ, რომ ისინი დამტკიცებულნი არიან აპეკუნებათ. მექილები და აპეკუნები ჩაწერილნი იქნებიან ამომრჩევლთ სიაში თავიანთ მარწმუნებლების სახელისა და გვარის ქვეშ და კენჭის-ყრის დროს ამათი სახელები დაწერილები გამოცხადებული იქნება სხდომის ზალაში. (3-2)

ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ მარტის 17-ს, იმის თანდასწრებით, დანიშნულია მუშაკობა (მხოლოდ ერთელ) ნავთლულში მდებარე ქალაქის მიწის (დაჩის) იჯარით მიცემაზედ მომავალისთვის აპრილის 1 რიცხვიდან. ეს მამული საბალახე აღეგია და შეიცავს 194 დესიატინასა და 100 ოთხ-კუთხ საყენს. (3-2)

თესლევი

ბოსტანისა და ყვავილედებისა, ახლად-შილებული სამზღვარ გარეთიდან ისპიდება ქავეკასიის სამეურნეო საზოგადოების კამისიონერთან ლარშუსთან, ბოლოვინის პროსპექტზე, სახლის № 11. (10-7)

სალაგური.

ანუ ლექსთა კრება. გამომცემელი ზ. ჭიჭინაძესი. უსანი ორი ვაშრი. თფილისში მ. ხელაძის. სტამბაში, და ქუთაისში, ი. მესხთან.

ტყავის ქარხანა თფილისში

დამოქმნის ქუჩაზე, ბერძნის საყდრის პირდაპირ, სახლის № 22.

პატივი აქვს აცნობოს იმ პირთ, რომელნიც ტყავით ვაჭრობენ ანუ თავიანთთვის სასყიდლოდ ეჭარებათ, რომ ამ ქარხანაში კეთდება და მუდამ მოიპოვება დამზადებული ყოველგვარი ტყავი წაღებისთვის, უნაზიკისა, კარბის და ფაბრიკისა, ჩამაგისა და სხვ.

ნარდათ (პარტიობით) ყიდვა ყველა ამ საქონლისა შეიძლება ქარხანის კანტონრაში, სადაც მსურველს შეუძლიან აგრეთვე რა გვარი ტყავიც უნდა შეუკეთოს და გაუყვებენ. წვირილ-წვირილად ამ ქარხანის საქონელი იყიდება მალაზიაში, სიონის პირდაპირ. (25-4)

ქუთაისში

ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

- 1) დედა მნა, ი. ბოგებაშვილისა, ფასი 45
- 2) ანუკა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა ბრ. რჩელოვისა ფასი 20 კ.
- 3) ცოლი ვიტიკო, თუ ფული? ძომელია ალ. თუთაივისა, ფასი 30 კაპ.
- 4) ვეშხვის ტყაოსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
- 5) მუშუ ლირი, დრამმა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან თფილისის ქალაქის გამგეობა ამით უცხადებს ხარშოვნიკების, ტრაქტირების (პასტაილი დვორების) პატრონებს, რომ საშუალო აქციზს შემოტანა ამ ტრაქტი-

რებიდან 1878 წლისთვის დანიშნულია ამ წლის პირველი ნახევრისათვის — 1 აპრილს და წლის შემორე ნახევრისათვის — 1 ივლისს ანუ 1878 წლისათვის. 3-2

აბრაშუმის შიის თესლი (კვერცხი) იტალიის მოდგმისა, სალი ისყიდება ქავეკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში (პლექსანდროვის ბაღში, უფ. შირსკის პირდაპირ).

უსანი თითო მისხლია მქმსი შაშრი მრთს კაცს 10—15 მისხალზე მეტი არ მიეყიდება.

გამოვიდა და ისყიდება

„ცოლი ვიტიკო, თუ ფული?“

ძომელია ალ. თუთაივისა ისყიდება: ქალაქში — ყველა წიგნის მალაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თელავს — იოსებ ძუზმანაშვილთან, ქარელს — დავით შეროჩაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუბნის ზუჭეტში, სურამს — შაქარია არუწოვთან, ქუთაისს — იაკობ მკანეზოვთან და სვ. სერვაძესთან შოთში — მლისბარ ბაბლოვთან, ცხინვალს — თ. ივ. თაქაქოვთან, საქაშეთს — თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრის ხევს — მასწ. მოსე ნათაძესთან, ბორში — სტ. ზომოვეთან და თვითონ ავტორთან.

ვისაც ჰსურს იყიდოს ხმელი საშენებელი ტყე, ფიჭვისა და ნაძვის, ფიცრები, სამი და ოთხი წლის განახერხი, შეუძლიან მიმართოს პოლკოვნიკის ბუჭყიევის სადგომში, არსენალის ქუჩაზე, სახლის № 31.

საჭიროდ ერაცნ გამოცახადო, რომ რიგ-რიგზე შეუსრულებთ ყველას, ვინც შეგვიკვეთს. შარებების სატანა ამ წლის 1 მაისიდან დაიწყება

რკ. ზნა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ბელგრაჟი	მაკაბ	გაზანდა	წან	კაპ	თფილისის სამეურნეო
თფილისი	9 21	5 18			მცო სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 15 მარტი.			მრევის მაედანზე, წინამძღვაროვის
მცოთა	10 11	6 27			ქუთაისს, შოთს	1	შქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1 60		სახლებში.
ბორი	11 58	9 43	2 40	1 33	ბორს, ღუშეთს, სიღნაღს	50	შქვილი წითელი	1 40		აგათმეოფებს მიიღებენ ყოველ დღე,
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდებსას, მოსკოვს	2	მერი ფუთი	1 40		კვირას გარდა, დილის 8—10 მდინ.
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, მარშავას	2	ბამბა მრევისა, ფუთი	7 50		მ. რ. შ. ა. თ. ს. მინკეიჩი — ხორუ-
შვირილა	5 49		5 81	3 23	მსმალეთში, შვეიცარიაში	3	— ამერიკისა, ფუთი	8 20		რგი, ლისიცივი — შინაგ. აგათმე.
რიონი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	ზავენტილი ბამბა ფუთი	10		ს. ა. მ. შ. ა. თ. ს. მერმიშვილი და
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	შატული თუშური ფთ.	8 20		მარქაროვი — შინაგ. აგათმეოფობის,
ახ.-სენაკი	—		8 57	4 76	ზოგად		— თარაქამისა ფთ.	4 30		თამაშევი — თვალის.
შოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე		აბრეშუმი ნუბური სტ.	2		მ. თ. ს. შ. ა. თ. ს. ლისიცივი — შინა-
შოთი	9 13				კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		ქონი, ფუთი	6 50		ნაგანი აგათმეოფ, ქიუჩარჩიანი — გენერალის.
ახ.-სენაკი	—		1 18	66	მზურ. — პარასკ. და ორშ. ძახეთს — სამშ. და შაბ.		ქონის სანთელი ფუთი	8		ხ. თ. შ. ა. თ. ს. მერმიშვილი — შინა-
სამტრედია	11 16		2 61	14	ბ) ქუთაისიდან:		სტეპარინის სანთელი, ფ.	13 60		განი აგათმეოფობისათვის.
რიონი	12 13		3 41	69	თფილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე		ხორცი ძროხისა, ლიტ.	1 8		პ. ა. რ. კ. ე. გ. ს. ლისიცივი და სხვ.
შვირილა	1 18		3 98	2 21	დღე, კვირას გარდა. მზურგეთს — ორშ. და პარასკ.		— ცხვრისა, ლიტრა	1 8		ტუროვი — შინაგ. აგათმეოფ. და მინ-
სურამი	5 12		5 33	2 96	წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.	შაქარი, ბროც. ფუთი	8 20		კეიჩი — ხორბუტ.
ხაშური	5 39		5 84	3 24	და სამზღვარ გარეთ:		— ზენილი ფუთი	6 50		შ. ა. მ. შ. ა. თ. ს. მერმიშვილი და მარქაროვი
ბორი	7 5		7 36	4 9	ლა წიგნის	4	შავა გრგვალი, გირვ.	70		როვი — შინაგანი აგათმეოფობის, ქიუჩარჩიანი
მცოთა	8 50		8 59	9 8 5	და მისხალი	8	შეთი ქუნჯუთისა ფუთ.	12		ქიუჩარჩიანი — ყურის და ხორბუტოვლ
თფილისი	9 31		9 75	9 42			თამაშევი, საშუალო ფუთი	7 95		აგათმეოფ. და თამაშევი — თვალის.